გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 106

2023 წლის 9 ივნისი

ქ. გორი

ქ. გორში ცხინვალის გზატკეცილის და გვერწითელის ქუჩის მიმდებარედ საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შსს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად შესწავლილი იქნა ავტოტრანსპორტის მოძრაობის საკითხი ქალაქ გორში წმინდაწყლის დასახლებაში გვერწითელის ქუჩის მონაკვეთზე, რომელიც აერთებს ცხინვალის გზატკეცილს ყიფიანის ქუჩასთან. საგზაო მოძრაობის გაუმჯობესებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ცხინვალის გზატკეცილიდან აიკრძალოს გვერწითელის ქუჩაზე შესვლა და დამონტაჟდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.18.2 ,,მარცხნივ მოხვევა აკრძალულია; ცხინვალის გზატკეცილისა და გვერწითელის ქუჩის კვეთის მიმდებარედ (ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულება) საგზაო ნიშნები 2.1-„მთავარი გზა“ და 4.1.4-„მოძრაობა პირდაპირ და მარჯვნივ“, ხოლო გვერწითელის ქუჩაზე (ცხინვალის გზატკეცილის კვეთის მიმდებარედ) განთავსდეს საგზაო ნიშნები 2.4 „მოძრაობა გაუჩერებლივ აკრძალულია“ და 3.18.2 ,,მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში ცხინვალის გზატკეცილიდან აიკრძალოს გვერწითელის ქუჩაზე შესვლა და დამონტაჟდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.18.2 ,,მარცხნივ მოხვევა აკრძალულია;
2. ქ.გორში ცხინვალის გზატკეცილისა და გვერწითელის ქუჩის კვეთის მიმდებარედ განთავსდეს (ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულება) საგზაო ნიშნები 2.1-„მთავარი გზა“ და 4.1.4-„მოძრაობა პირდაპირ და მარჯვნივ“;
3. ქ.გორში გვერწითელის ქუჩაზე (ცხინვალის გზატკეცილის კვეთის მიმდებარედ) განთავსდეს საგზაო ნიშნები 2.4 „მოძრაობა გაუჩერებლივ აკრძალულია“ და 3.18.2 ,,მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“

4. ამ კანკარგულების თანახმად, დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განახორციელება.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე